ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4220567

ნომერი: AR1637896

თარიღი : 16.10.2018

გაცემის თარიღი : 17.10.2018

გაცნობის თარიღი : 17.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მერაბ კოსტავა , N 60;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სურგულაძე პ/ნ 01017010566
- თბილისი ლ.გუდიაშვილის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 16 ოქტომბრის AR1637896 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N60-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება რეკონსტრუქციის ისეთ სახეობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. შესაბამისად, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება. განაცხადი საჭიროა დარეგისტრირებული იქნეს შესაბამის ნომენკლატურაში: პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

ამასთანავე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში, თუ იცვლება განაშენიანების ფართი, საჭიროა პირველ ეტაპზე მოითხოვოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება, რისთვისაც საჭიროა სამსახურს მომართოთ შესაბამისი მოთხოვნით და საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთოთ შესაბამის ნომენკლატურაში.

განგიმარტავთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.